

დიალექტი

თბილისი,
ბაგოცემის წელი XXI
„კომუნისტი“



“ჩვენს ხალხში ქველთაგანზე ამოგან: „მგელს იმიტომ კი არა სცემენ, რომ რუსია, არამედ იმიტომ, რომ ცხვარი უბრალო“.

ი. სვარიძის მოხსენებიდან



„სტატისტიკა აღრიცხვის და ანგარიშის არი მცნება, დადგენილი მისი ციფრი არ კლებულობს, არ იცვლება.“ ამნაირად გაგვიმარტავს სტატისტიკას ლექსიკონი და მის გამომდავებელი არ ყოფილა არცინ მგონი. მაგრამ ერთი აღმოჩენა გავამზეოთ გვინდა დღესა— სტატისტიკას ატყუებდა გერმანული ძველი პრესა: სამოც წლის წინ, იქაური ვაჭრების ვადმოცემით, პრუსიაში მოჰკლეს მგელი—ქვის სროლით და კეტის ცემით. და ქრონიკაც დაიწერა დასაჯერად საკვირველი: „ამ დღიდანო პრუსიაში აღარ დარჩა მეტი მგელი.“ უკანასკნელ მგლის მოკვლაზე პრესამ ისე იჭიკჭიკა, რომ არიულ სიტყუეში არ დაეკვდა სტატისტიკა. და ეს ცნობა აღრიცხული, მოღწეული კვლავ ჩვენამდე ურყევე ფაქტად ითვლებოდა „ფიურერის“ გაჩენამდე. მაგრამ როცა არიელებს მგელი „გაუფიურერდათ“,— პრუსიაში მგლის გაჩენის ამბავს მაინც არეინ სწერდი. შემდეგ, როცა მგელ—„ფიურერს“ ქვეყნის შთანთქმა მოესურგა და დაიწყო ხალხის სისხლში კალმახივით ყვინთვა, ცურვა, შემოკრიბა თავის ირგვლივ გაცოფებულ მგელთა ხროვა, სისხლის სუნზე გამოწაფა, დარაზმა და შეაგროვა, სტატისტიკას დაავიწყდა იმ ძველ ციფრის შესწორება:

რომ კვლავ გაჩნდა პრუსიაში გაცოფებულ მგელთა წყება. კიდევ შემდეგ, როცა პიტლერს „ვაი დედა“ ვათქმევივით, როცა თავხედ არიელებს გაჩენის დღე ვაწყვევლივით, როცა მათი ბაქი-ბუქი იქცა მთავე ნიახურად, და დაჭრილმა მხეცმა თავის ბინძურ ბუნაკს მიაშურა, მოიკაკვა ცოფიანი და წკავწკავით ჩაძვრა სოროს და ცდილობს რომ მომწყვედეულ მგლის ხვედრი ამით აიშოროს. სტატისტიკას მაინც აღარ გაახსენდა ის სათქმელი, რომ პრუსიულ მხეცთა შორის კიდევ დარჩა ერთი მგელი. და რადგანაც სტატისტიკა ზუსტ აღრიცხვის არი მცნება, დადგენილი მისი ციფრი არ კლებულობს, არ იცვლება, ამის გამო უნებლიე მის შეცდომას ჩვენ ვასწორებთ: მის ჯუმლსა და ჯამის ციფრებს დავამატოთ გვინდა სწორედ, რომ ბუნავში მოვიმწყვედივით სისხლისმსმელი რუხი მგელი; მძიმე დარტყმამ ყოველმხრიდან აუთოია უკვე წელი. და ხვალ ნახავთ—მიხაკისფერ ქურქის ბურღლა-ნაპენტები, პრუსიის ტყეს ისე ეშხით და იმგვარის გამეტებით მოეფინოს, რომ შესძახონ: „მოკვდა მგელი, მოკვდა მგელი: მას „ფიურერს“ ეძახოდნენ,—ადოლფ ერქვა მას სახელი!“


მანვილაქი

უკანასკნელი ბორბალი

„ნახებთი უმეველია, რომ გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე გეროპაში—უნგრეთი აგრეთვე გამოყვანილი იქნება მწყობრიდან უახლოეს ხანში.“

ი. სვალინის მოხსენებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



ამ მანქანას ერთადერთი ბორბალი-და შერჩა ობლად, ეს ბორბალიც ვერ იგორებს, ვერ შერჩება დიდხანს ბორბლად, ფრანკო უფვეს უკანასკნელ საცელიტას დასამხობლად.

წახ. ა. კანდელაკისა

მწარე ფიქრებით განაწამებმა გებელსმა ბერლინის ზოოპარკის დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო.

— რით შემოძლია გემსახუროთ?— მოკრძალებით ჰკითხა დირექტორმა.

— უნდა გამოვიტყუდეთ, რომ საფრთხის მოახლოვებამ მათიქრებინა ყოველივე ეს. უკვე დროა თავის გადარჩენაზე იფიქროს კაცმა.

— ბრძანეთ, მე გისმენთ.

— მე მინდა უკვე აქედანვე შევეჩვიო, ადგილი გაქვთ ზოოპარკში?— ჰკითხა გებელსმა.

— თქვენთვის როგორ არა...


— თქვენ რომელი მხეცის ქურქის გადაცმას მირჩევთ?

— თქვენთვის არავითარი ქურქის გადაცმა საჭირო არაა, მე თქვენ მოვათავსებთ მაიმუნებთან, ან არა და... წამობრძანდით!— უთხრა დირექტორმა და გებელსი ერთ დიდ გალიაში შეაგდო, სადაც გიჟთვალეებიანი ვეებერთელა მგელი იწვა. შეშინებულმა გებელსმა ღრიალი მორთო.

— მიშველეთ... მგელი შემეჭამს... მიშველეთ...

— რა გაღრიალებს, შე ჩერჩეტო, ჩუმად, ეს ხომ მე ვარ, — სთქვა ერთ კუთხეში მიკუნჭულმა მგელმა.

გაკვირვებული გებელსის წინ გაცოფებული ჰიტლერი წამოიშარათა.



მირთხა: ჩვენ რა გვიჭირს, წამდვალ ვირთხებს, საჩვენო სიროს ყველგან ვაშოვით. ამით იღარღონ, რომ გასაქცევიც აღარხად ჩიებათ.

ბაქანების შესახებ

უნგრელი და გერმანელი ჯარისკაცებით დატვირთული მანქანა უნგრეთის ტერიტორიით ფრონტისაკენ მიჰქროდა. უნგრელებმა დასაჯდომი ადგილი არ დაუთმეს „არიელებს“, რის გამოც გერმანელმა ჯარისკაცებმა ყვირილი ასტეხეს.

მანქანა სასაფლაოს მახლობლად შეჩერდა:

— რა გაღრიალებთ?— იკითხა მანქანის კაბინიდან გამოსულმა გერმანელმა მაიორმა.

— დასაჯდომ ადგილს არ გვითმობენ, — უპასუხეს გერმანელმა ჯარისკაცებმა.

გაბრაზებულმა მაიორმა უნგრელთა დასასჯელად ასეთი ბრძანება გასცა:

— უნგრელ ჯარისკაცებს ვუბრძანებ მთელი დღის განმავლობაში იყვირონ: — უნგრელებო ადექით, ადგილი დაუთმეთ გერმანელებს!

მანქანიდან ერთი უნგრელი ჯარისკაცი წამოდგა, ხელი სასაფლაოსაკენ გაიშვირა და დაიძახა:

— უნგრელებო, ადექით, ადგილი დაუთმეთ გერმანელებს!

კუქურჩი

კრილოვის პაპი და გუბარსის პანი

გებელსმა უკანასკნელ წანებში მთხზონა ლაპარაკს ფაშისტების „შედილობაინობის“ შესახებ.

გაზეთებიდან

აბა დაგვხედეთ, კანი უკვე შევიცვალეთო! — სასაცილოა, აქ რა მორალს ჩავვიდოთ ხელი? რა მიზანი აქვს თავს კრილოვის გველს რომ აღარგებს! თუ ის, რომ იმ გველს არა ჰქონდა მაშინ პორტუგალი და გებელსი კი — რეისსებედის პორტუგელს ატარებს — ეს მას ვერ იხსნის გველობისგან, — სოხვით მავალი, ნუ თუ ვერ ხვდებთ, რომ ისიც და სხვით „ფიურერიც“ გაისრისება, როგორც ყველა ქვეწარმავალი? —

გუშინ, გუშინწინ იუბილეს იგო კრილოვის და მისი ღვაწლის მადლი ხალხმა კვლავ განიცადა, სჩანს, კოჭლ გებელსსაც მოესურვა შეცვლა კილოის და ამ საქმიდან კაპიტალის შეძენა სცადა: „გველი და გლეხი“ წაიკითხა, დაიხუბირა, შემდეგ მის ტონზე გააბრუნა გრძელი სტატია, და გაზეთიდან დააფრქვია ცნობა „ხეფირად“, რომ ფერის შეცვლა ამ ჩაუხას თურმე სწავლიან: — ჩვენო, ის გველი როდიდა ვართ, გენაცვალეთო!

ფარსადანი



კაკაია

მანქანა ორღობეს მიაყვებდა. კოლმეურ-
რეობის კანტორაში მოგროვილი ბრიგადი-
რები და თავმჯდომარე ჯერ მწყობრებით წაი-
ნაბეზიან, მერე იხუვლებენ და უკანა კარ-ფან-
ჯრებიდან მინდვრისაკენ მოჰკურცხლავენ. ინს-
ტრუქტორს კანტორა ცარიელი ხვდება. კაცს
აფრენს თავმჯდომარის მოსაყვანად. ხოდა-
ბუნებიდან დაბრუნდება მოდლილ—მოქანცული
თავმჯდომარე. ქუდს იხდის, საკინძეს იხსნის
და ქუდით იწმენდს გაოფლილ ყელ-კისერს.

— მუშაობთ?
— დღე და ღამ მინდორში ვართ.—ქოქი-
ნით ამბობს თავმჯდომარე.
იატაკზე მიყრილ თუთუნის ჩაუმქრალ ნა-
წვებს დაჰხედავს ინსტრუქტორი, ცივად ილი-
მის და დიდ, შავ აბგასა ხსნის, საიდნაც
რამდენიმე თაბახ აჭრელებულ ქაღალდს ამო-
ათრევს.
— გიჩვიანი! — იტყვის ინსტრუქტორი.
— რა ბრძანეთ?!
— გიჩვიან-მეთქი!
— შეე?!
— დიალ!..

მხრებს აიჩჩავს თავმჯდომარე, მოიბუზება,
მოიკუნტება და იმ შავ აბგას, ბედისწერის
აბგას, პირდაღებული მიაჩერდება. მერე ინს-
ტრუქტორი მოწმეების ხმობას და დაკითხვას
რომ შეუდგება, დროს იხელთებს თავმჯდო-
მარე, კანტორიდან გაიძურწება და დირესთან
მოკუნტულ საწყობის გამგეს გადაყრება.
— ცუდათაა საქმე!..
— რა მოგვივიდა?!
— ტყავს გაგვადრობენ!..

ტყავსაო!.. ტანში ცრა აუტყდება საწყობის
გამგეს, ენას ველარ მოიბრუნებს და ყელის
ქავილი დაემართება.
— ეგრეც ნუ წახდები, ბიჭო! — ამხნევეს
თავმჯდომარე. — რა მისტირდეს მაშინ უნდა
გონებანი გონიერსაო, თუ გონებას ვერ გა-
მოიჩენ, ხელისა და ფეხის სიმარდით მაინც
მასახელე. შარშანწინდელი ღვინო მოახდევინე
ღმერთი არ გაგიწყრეს, მიწა არ ჩაგიცვიდეს
და ბკე არ მიგიყვეს... ცხვარი დააკლევინე...
ბოზბაში გააკეთებინე... შილაფლავი არ და-
გავიწყდეს. დედლები ცივად მოახარშვინე.

ინდოური შეაწვევინე... აბა, ჰა, აბა, შარ-
ჯვედ!..

საწყობის გამგე ცერებზე შემოპროწიალდე-
ბა და მოჰკურცხლავს. მალე მობრუნდება,
კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საიდუმლო
ნიშნებით გაიხმობს და სიამოვნებით წასჩურ-
ჩულებს:

— ყველაფერი რიგზეა, მალე იქნება!..
— ეხ, აღრევე ვერ მივხვდი!.. — შფოთავს
თავმჯდომარე.
— რა?! დავიღუპეთ?! — გული საბუდრიდან
წამოუხტება საწყობის გამგეს.
— ნუ გეშინიან!.. ინსტრუქტორი მგონი
იმერელი უნდა იყვეს... საცივი გააკეთებინე,
ტყემლის წუა იქონიე, წიწაკა ბლომად დაანა-
ყვინე!
საწყობის გამგე გაჰქრება, მალევე ფეხს იბ-
რუნებს და:
— ყველაფერი რიგზეა, მალე იქნება!
— ეხ!.. — ისევ შფოთავს თავმჯდომარე.
— რა?! დავიღუპეთ?!
— ნუ გეშინიან!.. ინსტრუქტორი იმერელი
კი არა, მგონი მეგრელი უნდა იყვეს. არ დამ-
კლა, სუფრას ღომი არ მოაკლო!
სახე დაეღრიჯება საწყობის გამგეს.
— ღომის გამკეთებელი სადღა ვიპოვნო,
ჰა?!
— მაშ ყელეები დავიჭრაო!..

გაბრუნდება წელმოწყვეტილი საწყობის გამ-
გე. მალე პირს იბრუნებს სახეანთებული...
თავმჯდომარე ხედ შუა გზაზე მოკეცილი დე-
ხდება... ავტოს ბოლი პირისახეში მიუყრია
და ორღობეში მიჰყვრის.
— დავიღუპეთ!.. — ქშინავს თავმჯდომარე.
— ნუ გეშინია, ღომის გაკეთება მოვახერ-
ხეთ!
— დავიღუპეთ... — არ იშლის თავმჯდომარე.
— როგორ?!
— პურმარილზე არ დარჩა!..
— პურმარილზე არ დარჩაო?!. სირცხვილი
არაა ისე გაშვება!.. შეხვეწნოდი, ბიჭო, შე-
ხვეწნოდი!
— ზედ გადავაკვდი!.. არა ჰქნა...
საწყობის გამგეს კირის ოფლი ასხამს, ხმა
ჩაუწყდება, მუხლთ მოეშვება და თავმჯდომა-
რის გვერდით მტვერში ჩაიკეცავს...

ახლად „გარემონტებულ“ ზუგუნი...
ალაგ-ალაგ ჰერი ჩამტვირთულა...
აუგლეჯია. ოთახებიდან დღისით ღრუბელთა
ფრთილები, ან კრიალა ზეცა მოსჩანს, ღამით
— მთვარე და ვარსკვლავები. შუაყედლები და-
ცხრილულა, კარებს კალთები შემოფხრეწია...
დირექტორის კაბინეტში ბუხარი გაჩაღებუ-
ლა, ცეცხლის ანარეკლზე ზეთოვანი საღებ-
ვები თვალისმოპყრელად ეღვარებს, ხოლო
„რემონტი“ კმაყოფილი დირექტორი სავარ-
ძელში გაშოტილა და პაპიროსს აბოლებს.
საკლასო ოთახების დაცხრილულ შუა-
კედლებზე გაზეთები აუკრავთ. ერთი კლასი-
დან მეორე აღარა სჩანს, მეორედან — მესამე...
მაგრამ... ალგებრის მასწავლებელი ცარცს
გამეტებით ურახუნებს დაფას, რათა მისმა მო-
წაფეებმა ნიუტონის ბინომზე იფიქრონ და
არა მეტყველების ნაწილებზე, რომელსაც რუ-
სული ენის მასწავლებელი მეზობელ კლასში
ჰსხნის. ძველი ნამდვდღევი, რუსული ენის მას-
წავლებელი თითქოს ტაძარში სწირავსო ისე
გუფუნებს. ქიმიკოსი ნატრიუმს აფეთქებს, ეგებ
ის გუფუნო როგორმე დააჰშოს, დრო იხელ-
თოს და ელემენტთა პერიოდული სისტემა
განუმარტოს მოწაფეებს. ისტორიკოსი გაზუთ-
ხულ ნაპოლეონის ომებს არაკრავებს და აი-
ნუნშიც არ ადგებს სხვა კლასებიდან გამოსულ
ხმაურობას.
გეოგრაფიის მასწავლებელი, ჩატუნული
ქალი, რუქის წინ საცოდავად ატუზულა, სა-
ჩვენებელ ჯოხს დირიჟორივით არხევს და ვერ
გაუბდენია რომელიმე სახელმწიფოს საზღვარი
შემოხაზოს. ამასობაში მისი მოწაფეები ისმე-



ნენ: — „ღიღმა სწავლულმა გალიღემ აღმოა-
ჩინა...“ „ნიუტონის ბინომი“... „რომელიც
შესანიშნავი მგონის ნიკოლოზ ბარათაშვილის
კალამს ეკუთვნის“... „მერანით“... „სუფოროვ-
მა გადალაბა ალპები“... „ნიეტ, ნე ბივავიტ“...
„დედამიწის მიზიდულობის კანონი...“
„მეორე დღეს განათლების განყოფილების
ინსპექტორი სწვევია გეოგრაფიის მასწავლე-
ბელს... ჩატუნული ქალი გაკვეთილს ჰკით-
ხავს ბუთხუზა ბიჭს, რომელიც იმდენადვე ზარ-
მაცია, რამდენადაც ნიქიერი, სახლში თავს არ
იწყუბებს და გაკვეთილს ახსნის დროსვე სწავ-
ლობს. ჰო-და ადგება ბუთხუზა ბიჭი, ადგება
და ჩაარაკრავებს:
— გალიღემ აღმოაჩინა ნიუტონის ბინომი,
რომელიც აღრე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დას-
წერა. მერანით სუფოროვმა ალპები გადალაბა
და დარწმუნდა, რომ დედამიწის მიზიდულო-
ბის კანონი არ არსებობს.
გაშრება, აკანკალდება გეოგრაფიის მასწავ-
ლებელი. აქეთ ეცემა, იქით ეცემა, ბოლოს
შლივდივობით დასძრავს კრინტს.
— სად გაიგონე ეს?!
— აქ, პატივცემულო მასწავლებელო! — ცქვი-
ტად მიუგებს ბუთხუზა ბიჭი.
— სიცრუეა, სიცრუეა, არ ერწმუნოთ, პატივ-
ცემულო ინსპექტორო — კანკალით ამბობს მას-
წავლებელი და კლასს მიუბრუნდება — განა ამის
მსგავსი რამე მითქვამს, განა აქ ასეთი რამ
გაგონილა?!
— დიალ, პატივცემულო მასწავლებელო! —
უდასტურებს კლასი.
ინსპექტორი ტურებს ბერავს და ოქმს აღ-
გვს.



გაჩივნილი სისხლის ზღვაში

მიტლერი ერთერთ შორეულ კუნძულზე დასაქცევად ემზადება.

ვაწეებოდან




ქართული
ბიბლიოთეკა

ნახ. კ. ჩხვიძისა



ეგრობა შემოატარა პენებ-პენებით, ძუნძულით,
დაეცა სისხლის მორევში, ჩაეფლო როგორც კუნძული.
მიხვდა უნიკო მხედარი, რომ იძირება ჯაგლაგი,
დაეძებს, მაგრამ არსად ჩანს ფონს გასახლელი ალაგი!



აკაკიმ თარგმნა კრილოვი — იგავისმთქმელი განთქმული, დიდ საბახ დაუძმობილა, მარილი მისცა ქართულა.

ი. კრილოვი

გოიჯარაკრა და ხარაზი

იჯარადარს, ფულით მდიდარს, სახლი ჰქონდა მშვენიერი, მის ღარბაზში სამეფლისოდ რა-ს იყრიდა მთელი ერი.

ჩახაც კაცი იმ ვრებადა, — ჩა ხახმელი, რა საქმელი, — ყველაფერი უხვად ჰქონდა, უღვიველი, თავსაყრელი.

აწუხებდა ერთი ღარდი, — მხოლოდ ერთი სიმძიმელი, — არა ჰქონდა მოსვენება, გატეხილი ჰქონდა ძილი.

რა სტანჯავდა — ღმერთმა უწყის, შიში ჰქონდა მალალ ღვთისა, თუ მომაკვდავს ეშინოდა განძეულის დაკარგვისა?

ერთის სიტყვით, იმ კაცს უხამად გადაეკცა ყოფა ტკბილი: არ იცოდა მოსვენება, გატეხილი ჰქონდა ძილი.

თუ ჩასთვლემდა განთიადზე რაღაც ძალით, განგებთა, მაშინაც კი მეზობელი ძალს უფრთხობდა მანგებთა.

უღარდელი კაცი იყო ეს ხარაზი — მეზობელი, სულ ამბობდა: „მხიარულად უნდა განვლო ეს ხოფელი“.

მართლაც: ჩვენი ხელოსანი დღეღალამე ღიღინებდა მდიდარი კი ძილს ნატრობდა და მაინც ვერ იძინებდა.

დაუშალოს? აბა, როგორ, რა კანონით, რა უფლებით! შეეხვეწოს? — ხვეწნა არ ხჭრის მუდარით და საუბრებით.

ბოლოს ბევრი ფიქრის შემდეგ, დაიბარა სახახლეში, ხან ეს უთხრა, ხან ის უთხრა, გაუყარა ხელი ხელში.

— „როგორა ხარ, კლიმ,“ (როცა გვსურს სხვის სახელიც გვაგონდება), — „ვარ ბატონო... უსაქმურად ჩემი გული არ ღონდება“.

— „გატყობ, ძმაო, დროს ატარებ ხიმღერთ და გალობითა.“
— „ღიალ, ღარდი არ მაწუხებს, ვცხოვრობ უფლის წყალობითა.“

დედაკაციც კარგი შემხვდა ახალგაზრდა, მხიარული...
— „ფულის საქმე როგორა გაქვს? ზომ არ გიჭირს, ძმაო, ფული?“

— „მაგაზე — კი, აბა, რა ვთქვა? არ მიმიწევს ფულზე გული... იმდენს ვიღებ, რაც მჭირა — არც ხარჯი მაქვს და არც ფული.“

— „მაშ არახდროს გინატრია ოქრო — ვერცხლი უთვალავი?“
— მოგახსენებ: ამბობენ, რომ ხარბიაო კაცის თვალი.

ვიდრე კაცი ცოცხალია, ხულ მეტი და მეტი უნდა, — ახე არის დასაბამით, ახე არის მუდამ... მუდამ.

აი, თქვენც კი ეს სიმდიდრე, ალბად მცირედ გეჩვენებათ, მეც ხიმღიდრე რომ ვისურვო, ჩამეთვლება შერგენებათ?“

— „ეგ კი მომწონს... ზედ გიყვობა მხეველობის დროს აზრიანობა: თუმც მდიდარსაც ხშირად ხვდება მწუხარება საზიანო.“

ნათქვამია: სიღარიბე არ არისო საძრახისი, — თუ ფულს ღარდი უწერია, ხეობს გტანჯავდეს ღარდი მისი.

მა, წაიღე ეს ტომარა ფულითა იგი სავსე, არ გაფლანგო, მოუარე, კარგ ადგილას მოათავსე.

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩემმა ხელმა შენ ხერიო დაგყაროს, გაუფრთხილდი ამ საუნჯეს — ხინარულის უკვდავ წყაროს.

მაშ მშვიდობით! — და ხარაზმა მყის ტომარას სტაცა ხელი; სახლისაკენ გააქანა, უღარდელი, უზრახველი.

მკათათვის შუაგულ სიტყვს... სვენებით ახნაურს ეტლი ძლივს დაეძრა ცსენებით: შიგ ეწყობ ბარგი და მიჰყავდა ჯალაბი, — ნემსი რომ ჩაგვადლოთ — არ იყო ალაგი. ცხენები წვალობდნენ, გაჩერდნენ შარახე, შეეტლმეც წვალობდა, დაქია ცხარობდა და მთრახს ურტყამდა ხალახე. — რან რომ ვერ გასჭრა, ჩაპოხტა ბატონი, შეიღობიც ეწ... ე არ გაჩერდნენ მარტონი, — ბატონის კოლიც და აღმზრდელიც ჩამოხტა. ცხენები უხლა კი დაიძრნენ წვალებით, თუ ე კვლავ ქვიშაში რჩებოდათ ნალეები, რადგან, სიანს, არ სურდათ სქა ტვირთის ჩამონდა. ეს ბუხმა შენიშნა, მოვარდა ბუხლუნიო, გააბა რაც კი მას შეეძლო ბუხკი. დაფრინავს. ტრიალებს, წუხდება, ერთ ცხენს გარს ურბინა, მეორეს უტბინა, მესამედ — კოფოზე სკუბდება. ხან ცხენებს სტოვებს და ფარულად მზაფრებში ფათურობს მგზავრულად. აი როგორც ბაზარზე ჩოღარი დაძვრება, დადის და სხვას საქმეს უწუხებს: „კარგი რომ გავძელი, — ამდენი გაძლება, — არავინ მშველისო“ — ზუზუნებს. ახებდდა, როგორც ეს იციან ბრიყვებმა, აღმზრდელი ქალბატონს კურკურით მიყვება; ბატონი — მსახურ ქალს ტყისაკე, სოკოზე... ბუხი კი თავისას განაგრძობს კოფოზე: „უჩემოდ ამ გზაზე რა წავა? სულ მე ვარ — რაცა ვარ! სულ მე ვარ! — შრომაში ყველას მე ვაქვებ... და ამ დროს ცხენებიც გავიდნენ ვაკეზე. ძლივს! — ბუხმა შესაბა, შესწყვიტა ჯავრობა, დაბრძანდით! — უსურვა კეთილი მგზავრობა. „მე კი ფრთებს ვეღარ ვძრავ... არაფერს დავეძებ — თღონდ აქ დაღლილი უცებ არ დავეცე“. ამ ქვეყნად ბუხივით ჰაწია — რამდენი უქნარა კაცია! ყველგან რომ დაძვრება და შევლას ჰპირდება, სადაც ის არავის სჭირდება.

თარგმანი ილია მოსაშვილისა

იმავ ღამეს ბნელ სარდაფში ჩაფლა — ჩუმად გადამალა, და დასტოვა ფულთან ერთად ხიმღერა და მისი ძალა.

ეს, ხიმღერას ვინა სჩივის ძილიც აღარ ეკარება (თვით ხარაზმაც გამოსცადა უძილობის ნეტარება!).

ყველაფერი ექვს ჰხადებდა, აღელვებდა ყველაფერი, კატის ფხაქუნს ყურს მოჰკრავდა — ეგონა რომ მოღის მტერი.

ყველგან ქურდის ღანდს ჰხედავდა, ადგებოდა, დაჯდებოდა, შიშით, სმენად გადაქცეულს, ჭირის ოფლი ასკდებოდა.

ერთი სიტყვით საჩუქარმა იგი მისცა მძიმე ღარდებს, ღამის თავი ჩამოიღრჩოს, ღამის წყალში გადავარდეს.

მთლად სიცოცხლე გაუმწარდა, მოსვენებას გულით ნატრობს, ბოლოს ადგა და ტომარა გაუტანა თავის პატრონს.

მოახსენა: „გმადლობთ, მაგრამ დაიბრუნე შენი ოქრო, მე როლი მსურს დღენიადაც სულ ვიწუხო, სულ ვიხირო.“

მხიარული დავიბადე მწუხარება არ მჩვევია, ჩემი ტკბილი ხიმღერები, მილიონებს მირჩვენია!“

თარგმანი ი. გრიშაშვილისა



ნაბ. ა. ქოქიაშვილისა

სადგური წითელი, წათალი ქვითაა წაგები. იქ მატარებელი დღეში მხოლოდ ორჯერ ჩაივლის. მატარებლის გამოსვლამდის საკინძე—ჩაბსნილი, თავშიშველა მორიგე მოგვალულ სიმინდში შებარულ ღორებს დასდევს. მერე სანიშნო წითელ ფრთას აიჭნევს. მორიგე საკინძეს შეიკრავს, წითელ ქუდს დაიხურავს და სალაროს სარკმელს გამოადგის.

სადგურის გასწვრივ ერთი ილომეტრის? ნძილზე პატარა ხუხულაში, წითელლოყებიანი გოგონა ზის, კაღამს აწრიანებს და ტვიროთა და ს. აბილით გახვიოქულ გლეხებს „სანიტარულად ამუშავენ“. მაგრამ რეკაწითელას მტეგენე ი და წითელლოყებიანი გაშლის ხორა მატულობს. მაგრამ მხოლოდ ორიოდ საათს ზის იმ ხუხულაში წითელ ოყებიანი გოგონა. კვირაობით სულაც ისვენებს... „სანიტარულად რაუშუშავერედი“ მგზავრები მორიგეს ყელს უწევენ, თავს აბრალებენ:

- შენი ტირიმი..
- აგრემც დაგენაცვლები!..
- ამ ერთი დღით ძლივს გამიშვა თავმჯდომარე..
- დაჭრილ შეილთან მივდივარ..

მეისრე გვერდით გაიზმობს ღედაბერს. უღიმის, ვბუტბუტება... შავ ქვედაბოლოს აიწევს დედაბერი, მერე ბაცს, მერე ლურჯს, მერე ცრიატს... სადღაც ქიასს იპოვნის, ცხრა კვანძს გახსნის, ცხრა ხვეულს მოაშორებს, ცხრა ნაკეცს გაშლის და სამორიგოს კარებში შეჭყვება მეისრეს.

დედაბერი წითლიანებს დაანახებს მორიგეს. გაიღიმებს მორიგე, ბილეთს უზმაუროდ დაბეჭდავს და როცა წითლიანებს ჩაბღუჯავს, ჩაიღრიტინებს:

- ეგვეც რომ არა ყოფილიყო, განა ისე არ იქნებოდაი..
 - სარკმელში ორმოცი ხელი გამოჩრილა.. საესავეგბენ, სხმარტალებენ... იხვეწებიან, იმუდარებიან...
 - არ შემოძლიან... პასუხისგებაში მიმცემენ.. ჩამსვამენი..
- ქოთქოთობს მორიგე.

ა—მ



1. ბევრი იწვალა ამბაკომ, მაგრამ ვერ გაკრა ახანთი.



2. ევრიკა! — სოქვა მან და ..



3. გამოვინების სისრულეში მოყვანას შეუღვა.



4. მაგრამ „დიდ არს ხარისხი“ გოვირღოვანი ფოსფორისა: ამბაკოს თავი შემთხვევით აფეთქებულ ახანთისაგან ცეცხლში გაეხვია.

დ ა მ ა ზ ი ხ უ მ რ ო ბ ა

მეტად სამწუხარო ამბავი მოვიდა ქუთაისიდან აბაშაში 3 ოქტომბერს: დოსტამ ასეთი დეპეშა მიიღო აბაშაში მცხოვრებ ამბ. ბუხიძის სახელზე: მამა გარდაიცვალა ასაფლაკებთ 5 ოქტომბერს ოლია ბუხიძე, ჯერ კიდევ ჭირასუფალს არც კი ჰქონდა მიღებული დეპეშა, რომ მთელს აბაშას მოედო ეს სამწუხარო ამბავი.

ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, სხვები და სხვები დაირაზნენ და ერთად და ცალცალკე გაეშურნენ ჭირასუფალის სახლისკენ ძვირფასი მამის დაკარგვის გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად. ზოგი ანუგეშებდა დაიბლებულს: „დარდს ნუ მიეცემი, რა ვუყოთ, მამა ვის არ გარდაცვლიაო“, ზოგი ახერხებდა ცრემლის გადმოღვრასაც და გულამომჯდარი ტირილით ამბობდა: — ასეა ეს უნდო წუთისოფელი მოწყობილი, კაცო ცოცხალი იყო. ალბად უყვარდა ხაშის ან კვაწარაზიანი ლობიოს ჭამა, დადიოდა, იცინოდა, ქუთაისის ქუჩებზე ამოცვნილ ქვაფენილში მუდამ ფეხი უფარდებოდა, და აი, ინებეთ — კაცი მოკვდა, გარდაიცვალა, ეხ, ეხ!..“

ღიბს, საერთო მწუხარებამ მოიცვა ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ

ღვით ქირისუფალი, ე. ი. დაობლებული ბუხიძე არა თუ არ სწუხდა, არამედ იცინოდა კიდევ და გაკვირვებული იყო. ვილაცემ ეზოში მემკვიდრე უშველებელი სამგლოვიარო გვირაგინი ასედა იწარწერით:

ქვირფასი მეზობლის მამის უკვდავ ხსოვნას იძინე მშვიდად კეთილი მეზობლის ტკბილო, მოხუცო მამავ!

ახლა კი გაცეცხლდა ჭირისუფალი, წამოავლო ხელი, უკაცრავად პასუხია, თოხის ტარს და დაერია ნაცნობ-მეზობლებს. ხალხში ჩოქოლი ატყდა:

- დარდის გამო გაგიუდა, საცოდავი!
 - ასე იცის დარდმა... საწყალს ერთადერთი მამა ჰყავდა და ისიც გარდაეცვალა, გაგიუდებოდა, აბა რა ხეირი დაეყრებოდა!
- როცა ხალხი მიმოიფანტა, ჭირისუფალი მწარე საგონებელს მიეცა: „რაშია საქმე, — ფიქრობდა ფეი, — საცოდავი მამაჩემი (ღმერთმა აცხონოს, კარგი კაცი იყო) ერთხელ უკვე

გარდაიცვალა 1933 წელს... ეს დეპეშა რაღას ნიშნავს!


რაღა ბევრი გავაგრძელოთ — გამოიკვა, რომ ქუთაისში გარდაცვლილიყო ბუხიძის ბიძაშვილი სახელად მამია. ტელეგრაფისტმა (შეიძლება ითქვას ხუმრობით) ამ სახელს გაუეთა სულ მცირე ოპერაცია, ამოაცალა ერთი ხმოვანი ასო „ი“ და სრულიად უმტკივნეულოდ ბიძაშვილი მამად გადააქცია.

ნაცნობ-მეზობლებს კი მართლა მამა ეგონათ ხა, ხა, ხა... რა გულუბრყვილო ხალხი ცხოვრობს აბაშაში!... ტელეგრაფისტმა იხუმრა, მერე რა მოხდა!...


პირდაპირ უბედურებაა: დღემდე ვერ შეეჩვია ჩვენი ხალხი ასეთ ხუმრობას. მერე პირველად მაინც ხუმრობდეს ჩვენი დალაგებული კავშირგაბმულობა!

მაინც როგორ დასერიოზულდა ხალხი, საკმაო სულ ერთი ასოთი იხუმროს ტელეგრაფისტმა, მაშინვე სამგლოვიარო გვირგვინებს შემოაგორებენ ეზოში და მკლავებზე შავ ლენტს გაიკეთებენ!..

ამჟამად მატარებელში თბილისი — ბათუმი განუწყვეტად ჩართულია რეპროდუქტორი და მგზავრებს ისვენების საშუალება არა აქვს.



რეპროდუქტორი: არ დაანაგვიანოთ! არ მოხწოთ! არ იხმაროთ! ჯარიმა... ჯარიმა... მგზავრები: რომ დამაძინებდეს, ყველა გაფრთხილება თავისთავად შესრულდებოდა.



ქახეთიდან თბილისის მომავალი ყოველი მგზავრი, ვაგონის გამცილებელთან საუბრის დროს ასეთ არაკს იტყვის ხოლმე:

ერთხელ თურმე მოლა ნასრედინმა თავის საკუთარ ვირს ერთი დღის განმავლობაში თერთმეტჯერ აპყარა და ისევ დააქვდა ნალები.

— რატომ სჩადიხარ ამას, მოლა? — ჰკითხეს ნაცნობებმა.

— ჩემს მეზობელ ნალებანდ ვაჯავრებ, — სთქვა მან, — დეე მიხვდეს, რომ ჩემგან ერთი კაპეიკის ხეირს ვერ ნახავს.

— ეგ რა არის, — უპასუხებს ხოლმე გამცილებელი მგზავრს, — ჩვენი რკინიგზის ღირექცია მაგაზე უკეთესად იქცევა: თუ მგზავრს სანიტარული დამუშავების ცნობა

არა აქვს, ბილეთს მხოლოდ ვაზიანადვე აყიდენებს მოლარეებს, რადგან თბილისში უსუფთაოდ ჩასვლა აკრძალულია. — მერე? რას შერებთან მგზავრები, ვაზიანში ჩამოდიან?

— შენც არ მომიკვდე, პირდაპირ თბილისში მიდიან. ვის სცალია, რომ ვაზიანთან თბილისამდე ხელახლა შეამოწმოს ბილეთი. რკინიგზა კი ამის გამო ყოველდღე რამოდენიმე ათას მანეთს ჰკარგავს.

— რას ამბობს ამის გამო, მაგ წესის შემომღები?

— ანასუნი მაგ მგზავრების საქმესო, გულს ხომ ვუხეტქამ ვაზიანთან თბილისამდე რევიზორის მოლოდინშიო.

გ. ი.

გორში მოგზაურობის სიამანი და პნაზანი

მეორედ მივადექი ბილეთების სალაროს.

— ქალბატონო, ჩემი თვალთ დაიწინახე, როგორ მიეცით იმ ჩასუქებულ კაცს ბილეთი სანდამუშავების გარეშე! უმორჩილესად გახზოვთ, მეც მომცეთ!

ნერვებაშილიმა მოლარე ქალმა ყვირილისგან ჩახრისწული ხმით მრისხანედ გამომძახა:

— შენ რა იცი რა ქალაღლი მომიტანა იმ კაცმა! — თანაც ელვის სისწრაფით ჩამოუშვა სალაროს სარკმელი.

— მეც მოგცემ იმ ქალაღლს, ოღონდ როგორმე ბილეთი მომეცი! — ჩავბლავლე სარკმლის ნაპრალს. — აბანო არ მუშაობს, თანაც სუფთა ვარ, სინდისს გეფიცები, მეც მოგცემ... სარკმელი აიხადა და მლიმარე მოლარემ დაყვავებით და წყნარი საყვედურით წარმო-სთქვა:

— შე კაი კაცო, ათი მანეთის მეტი კი არ უნდა, ავერ ყიდის კაცი კარს უკან! — და თან ერთ ბინძურ კაცზე მიმითითა, რომელიც ქურდულად იყურებოდა ჩვენსკენ.

გადვეცი მოლარეს სანდამუშავების ხარჯი და ბილეთის ფული, ბილეთი მივიღე და აჩქარებით გავსწიე სადგურისაკენ.

სადგურზე გასასვლელი კარი მტკიცედ ჩაჩახული დამიხვდა. მეკარემ ყველაზედ შორეულ კარზე მიმითითა. სირბილით გავიბრინე მოზრდილი მანძილი, მაგრამ ის კარიც დაკეტილი აღმოჩნდა. იქაურმა მეკარემ, ამაყმა და ძუნწად მეტყველმა რკინიგზელმა, ათიოდე წუთის ზეგწინს შემდეგ ამისხნა:

— ხალიდან გაიარე! შუაკარში!

ახლა ხალას მივეარდი, მატარებლის წასვლის დრო ახლოვდებოდა და არც შუაკარმა მიმიკარა. სასოწარკვეთილი და თითქმის ატირებული მივუბრუნდი ისევ პირველ მეკარეს. ვემუდარე, მაგრამ ვერა ვერა ვასკრა, ბოლოს ბრწყინვალე აზრს გამიელვა თავში: ავიღე ათმანეთიანი და ხელში ჩავიარე სტოიკოს მეკარეს. თვალის დახამამებში ჯაილო კარი და ორი წუთის შემდეგ გიჟივით მივსდევდი გორის მატარებელს, რომელიც ექვსი წუთით ადრე გავიდა განრიგთან შედარებით.

გამწარებული უკანასკნელი ვაგონის კიბეზე ვილატის კალათას ჩავეჭიდე. მგზავრებმა ამათორიეს.

ნახევარი საათი ვწმინდე მაშუთით თუ ნავთით გათხუზული სკამი. თანაც ისევ ვიფურთხებოდი:

— დასწევლოს ღმერთმა, ძლივს გადავურჩი სანდამუშავებაში გასვრას და ახლა ამ დეზინფექციამ როგორ უნდა გამაბინძუროს კაცი. ტანსაცმელს არ ვჩივი, სხეულზე ტყავი არ გადამაძროს!

როდესაც ყველა ჯიბიდან ამოღებული ქალაღლები შემომხარჯა წმენდაში, დაქანცული სკამზე მივესვენე და ზემო საწოლიდან მომდინარე სადებინფექციო ნაკადს შევუშვირე თავი. ისე დავიღალე, ერთი საათი თვალი აღარ გამიხელია.

უცებ მეხივით დამეცა რაღაცა თავში და თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა, ბლავილით წამოვარდი ნამძინარევი.

— რა ამბავია, ხალხო, რა მოხდა?

— ნუ გეშინია, რა მოგივიდა შე კაი კაცო, ამაზე მძიმე არაფერი დაგცემია თავში? — დამამუვიდა კალათის პატრონმა, თანაც ჩემს თავსა და მეორე კალათს შუა ცდილობდა თავისი კალათის მოთავსებას.

მაღე დავმუვიდდი, რადგან თავი მაგარი მქონდა და არსებითად კალათმა ვერაფერი დამაკლო. გადაწყვიტე მაინც მესარგებლა დაზარალებულის მდგომარეობით.

— გლესო, მაგ კალათს რომ მირტყამ თავში, კერძო საკუთრება ხომ არ გგონია? მართალია შიგ არაფერი მაქვს, მაგრამ შენ ვინ მოგცა მაგდენი უფლება? კალათით რა მივაქვს?

— ვაშლია, შენი ქირიმე.

— რაო, ვაშლი? მერე, რას უყურებ? ვაშლი იმისთვის არსებობს, რომ ვკაოთ. გახსენი ჩქარა ეგ კალათა. რაო? ბევრს ნუ ლაპარაკობ. ჩემი თავი ანაზღაურებას მოითხოვს.

დარცხენილმა კოლმეურნემ ყოყმანით გახსენა კალათი. მეც შოურიდებლად ჩავყავი ხელი, თავათაც შევექციე ვაშლს და მეზობლებსაც გავეუშასპინძლდი. ნარჩენებს კი თავისუფლად ვისვროდი გარედ, რადგან, ისევე, როგორც ქახე-

თის მატარებელს, არც გორის მატარებლის ფანჯრებს ჰქონდა მინა. ამ ამბავში რომ ვიყავი, ცხვირჩაქულებტილმა მრისხანე კონტროლიორმა ჩამოიარა. ეტყობოდა იმ დღის ნადავლით არ იყო კმაყოფილი. ხარბად ათვალიერებდა ბარგს და ადვილად დასაჩაგრაგ მგზავრებს არჩევდა.

არ გაუვლია რამდენიმე წუთს, ვაგონის ბოლოდან სოფლოელი დედაკაცების ხვეწნა მოისმა. ამას მოჰყვა კონტროლიორის მრისხანე გრგვინვა. ორიოდ წუთში ქალები დააჯარიმეს: მათი ხუთი ეტ — კილოგრამიანი ტვირთი ერთი-ორად მძიმედ აღიარეს კონტროლიორის მხლებლებმა. ჯარიმის ფული ქალებს არ აღმოაჩნდათ, ამიტომ ტვირთი ჩამოართვეს და იქვე გაინაწილეს ტურა — მელებმა.

ლომს, რა თქმა უნდა, თავისი წილი არ დაჰკლებია.

იმი

ყვალაზა დირი სიჩქაკა

ნახ. შიუკაშვილისა



ზრინი — თუ იცო კურთ, ყველაზე დიდი სიჩქარე ვინ განავითარა გერმანიაში? კურტი — მე. 12 სექტემბერს ქურდობისათვის ბერლინის საპატიმროში ვიჯექი. 28 სექტემბერს ცოდვების მოხანდელად სტალინგრადის ფრონტზე ამომაყოფინეს თავი, ხოლო იმავე თვის ბოლოს უკვე ვლადივოსტოკის ციხეში ვიჯექი.

გოდორა ჯაგარდამზადების აგენტია, ბურ-თივით მრგვალი, თავკომბალა, უკისერო, ჭყეტელა, წელდაბალი და მოკლე ფეხება. თუ ღვინით არ არის გაჭყეპილი, რაც ნაკიან წელიწადში ორ-სამჯერ თუ მოხდება, ცხროიანივით თრთის.

ამ გოდორას უყვეს ოინი ჰოსპიტლებიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა სოფელში ჩამოსვლის პირველ დღეებში. მათ შორის თავათ გოდორას ვაჟიც ერია ნიკა. გულჯახსნილი შეხვდა სოფელი ომგადახდილ მეომრებს; საითაც შეუხვევდნენ, სუფრა იშლებოდა, ყველა თვის ბალენახში იწვევდა. ლხინი ლხინს გადაება. ქვახარშია გოდორამაც, სხვის პურმარილზე გაწუწუებულმა ბევრი იქეიფა მეზობელ-მოკეთებში. სხვის დოლ-გარმონზე ბუქნას უვლიდა, მისი ყიფინა და ვარახელა მთელ უბანს აყრუებდა. თავის შინისკენ კი თითქოს გზაც დაავიწყდა. არავის იწვევდა. ვითომ მას კი არა, მარტო სხვებს უნდა აღენიშნათ მისი შვილის ჩამოსვლა. როცა მიეძალეობდნენ, საბოლოოდ წამოამტვრევდა: ქვევრი არა მაქვს ნახარჯათ, რომ მოეხდი, მაშინ ნახეთ, თუ რა ლხინი გადავიხადო. გოდორას ქვევრის მოხდას კი საშველი აღარ დაადგა. ნიკა სირცხვილით იწოდა, მაგრამ გოდორას სიკერზე ვერ გასტეხა. ბიჭებსაც სული კბილით ეჭირათ, შესაფერ შემთხვევას ელოდნენ, რომ გოდორას „თავს დასხმოდნენ“ და ამ შემთხვევამაც არ დაიკვიანა.

ერთ ღამეს, საღლატისე გაიღეშა გოდორა ღვინით, რომ საგნები ორ-ორად ეჩვენებოდა. თავის სახლის აივანზე მხარი ექცა, კარებს ვერ მიაგნო. მორღვეულ მოაჯირზე ლიმონის ხე ეღდა, კასრში ჩარგული, იმას დაეჯახა. მოაჯირი გადაანგრია, ძირს გადავარდა თავდაყირა. კასრი და ხე ზედ დაენარცხა, რაც მანქანებით კასრი გასკდა, გოდორა კი ცოცხალი გადარჩა.

ძილთავმიცემულ შინაურებს კასრის დაცემის ხმა რომ შემოესმათ, მიწისძვრა ეგნათ. ერთი წიოკით გამოცვივდნენ გარეთ, მთელი უბანი შეჰყარეს. ექიმთან აფრინეს კაცი.

დიდხანს უტრიალა ექიმმა გოდორას გარუმბებულ ტანს, ერთავად დაბეგვილი და დაღურჯებული იყო.

— გაასინჯინეთ, ჰაჰა ხომ არა აქვს გაწყვეტილი. თბილი აბაზანები მოუხდებო, წამლები გამოუწერა და წავიდა.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ექიმის წასვლისას მეზობლებმა ბჭობა შექნეს შინაურ წამლობაზე. ნიკას ამხანაგებმა ერთმანეთს თვალი უყვეს, რაღაცაზე უხმოდ შეთანხდნენ. ბაქსანთან ნაბრძოლმა კივილას ბიჭმა, ოღნავენას რომ უკიდებდა, სახლის ბოძზე მიბმულ ქედლისკენ გააპარა თვალი და დიდი ვინმე ჯანაოზივით წარმოსთქვა:

— არც აბაზანა უნდა და არც ბზე და ქერი; თერგის ხეობაში ვისწავლე მაგის წამალი: ახლად დაკლული ცხვრის ტყავში უნდა გაიხვიოს დაშავებული და ორ დღეში ფეხზე დადგებო.

ქედლიამაც თითქოს დასტურის მიმცემათ დაიბღავლა, გოდორასაც ორჯერ დააცემინა ცხვირი.

— ორი ცხვირია, აღარ უნდა ბევრი ფიციმტკიცე. — მოუხეს მხარი იქ შესწრებულმა დროულმა კაცებმა, — ჩვენც გავვიგონია, თუ შეგი წამლობენ ეგრე ცხენიდან ჩამოვარდნისას დაბეგვილებსო.

— ოღონდ ეგ ცოდვიშვილი არ მოკვდებოდეს ეგრე უბედურად და ქედლას კი არა, ლომტახსაც ზედ მივაყოლებო. — იხოკდა ლოყებს გოდორას ცოლი.

ბიჭებმა აღარ დააყოენეს, ეშინოდათ რომ წუწურაქი გოდორა არ გამოფხიზლებულიყო; ხელად გააგდებინეს თავი ქედლას. გაატყავეს. დაშავებული წელამდე გაატიტვლეს,



ის ურჩევნია მამასა შვილი არ სწერდეს ღრამასა.

(მწერალ სერგო კლდიაშვილის გამოსვლიდან „იროს ხევის“ გარშემო გამართულ დისპუტზე)

ცხვრის თბილ ტყავში გაახვიეს, თასმებით მაგრად შემოაკერეს გულმკერდზე.

ქედლიას ხორცს ხომ ვერ გადაჰყრდნენ, ქებაში ჩაჰყარეს და ცეცხლი შეუთეს. ქოცოს თავი მოხადეს და გოდორას ფათერაკს ერთი დიდი ქეიფი ააყოლეს.

სხედან და მოილხენენ ბიჭები. გოდორას კი წუთის წუთს გული უღონდება, თვალთ ებინდება. გულმკერდზე შემოსალტული ტყავი შრება. სუნთქვა ეკვრის, ლამისაა გაიგუდოს, უნდა ეს მახრჩობელა ჯავშანი შემოიგლიჯოს, მაგრამ ხელები შიგ აქვს დატანებული.

— ეგ რა გითის პერანგი ჩამაცემით თქვე ოხრიშვილებო, თქვენ ქეიფობთ და მე კი აქ სული მხდება, — იძახის კბილთა ღრჭენით.

— არა უშავს, ქორწილს იქმს და მორჩებიო, ეს სიმხურვალე გამოდის ტანიდანო, — ელაღობებიან მოკეთენი და ჩაის ჭიჭებით ცლიან ფაფასავით სქელ საფერავს.

ქოცო შუა წელამდე დაიყვანეს. ის დღე ამ კირნართაულ ლხინში გაატარეს. მეორე დღეს კვლავ მოინახულეს გოდორა (ქვევრის წელის ღვინო ხომ ნაქები მოჰაწნიკებში). დია მისკირვებობა საბრალოს — ისედაც დაჭყეტილი თვალეში გადმოვარდნაზე ჰქონდა.

შეე უწყალოდ აჭერდა. ცხვრის ტყავს საშინელი მძორის სუნი აეშვა. გოდორას ცალკე ტანთემოსალტული ჯავშანი უხუთავს სულს, ცალკე აშშორებულ ტყავის სიმყრალე ახრჩობს; ბიჭებმაც ვერ გაუძლეს ამ სიმყრალეს, ვენახში ჩაიტანეს სუფრა. ახლა იქ განაახლეს ქეიფი. აივანზე მგინავ გოდორას მაღიმაღ ამოს-

ძახოდნენ: როგორა ხარ, ხომ არ გაწუხებს ტყავის სუნიო.

მანამ არ მოეშენენ, სანამ ქვევრი მოხლემდე არ დაიყვანეს და ქედლიას ნეკნები სულ თითებზე არ დაიმტვრიეს.


მესამე დღეს კვლავ დაასვენეს გოდორასთან წასვლა, მაგრამ იგი გზაში შემოხვდათ. კბილებით შემოეგლიჯა გულმკერდიდან ამძორებული ცხვრის ტყავი. ყავარჯენზე დაყრდნობილი მიფახუცობდა თავის საწყობისაკენ.

— აი თუ არ გასჭრა ჩემმა რეცეპტმაო! — დიიძახა კივილას ბიჭმა და ამხანაგებს გადახედა, რომლებიც სიცილს ველარ იკავებდნენ.

— იმ ქედლიამ შენც გარგო და ჩვენც მოგვალხინაო! — შეაპარა ერთმა და თან ქვეშქვეშ გახედა, აბა როგორ იმოქმედებს ნათქვამიო.

— ჩემი რეგებისა რა გითხრათ, მაგრამ თქვენ რომ გარგოთ, ნაქეიფარ თვალებზე გეტყობათო. — წაიბურღუნა გოდორამ, შუბლშეკოულმა გზა განაგრძო, მერე წამით მოტრიალდა და დანანებით სთქვა: რომ მოვმკვდარიყავი, იმ ქედლიას ხარ-ძროხასაც ზედ მიყოლებდიო, მაგრამ გაკვეთილად გამომაღგება, დღეს ვართ და ხვალ არა, სჯობს ჩემს ქონებაზე კარგად მყოფმა მეც ვილხინო და სხვებიც მოვალხინო, სულ ერთია მაინც. შეუქმელი არ გადაგიჩებათ რაო...

— მამ რა გვეგონათ ძელქვის ჯიშისანი ვართ ჩვენი გვარის ვაჟკაცები, ტყუილად კი არ გვეძახიან ხეძკერიებსო, — ნირშუუცვლელად შეაგება გოდორამ ბიჭებს, სიცილისაგან რომ იფხრიჭებოდნენ. ალ. ჰეიშვილი.



თურმე მიცვალბუღებშიც უფილან ბედნიერნი
 უბედურნი...
 ბედმა ჩვენს თვალწინ ხელმეორედ გააცოცხლა
 ა არმაზის ნანგრევებიდან მკვდრეთით აღადგინა
 მცნეთის დიდებული პიტიაშები. მათს სამარხებში ნა-
 პოვნი თვითული ქვა, ბრინჯაოს რგოლი, კრამიტის
 ნატეხი თუ აბჯრის ბალთა საქართველოს ისტორიის
 ცოცხალ სტრატონებად იქცა და ჩვენი ქვეყნის დიდ-
 ბულ წარსულთან დაგვალაპარაკა.
 სამაგიეროდ სასტიკად დასცინა ბედმა კასპის რა-
 იონის ხოფელ წინარების უძველეს სამარხებში აღმო-
 ჩენილ ჩონჩხებს, რომელნიც ხელმეორედ და სამუდა-
 მოდ იქნენ დამარხულნი დავიწყების მტვერში.
 საქმის შინაარსი გაუგებარი იქნება მკითხველისა-
 თვის. თუ უფრო დავფრთხილებთ პრ ვუამბეთ მას უემო-
 ხსენებულ სოფელში მომხდარი ამბავი.
 მართალია, ეს ამბავი სასაცილოდ არ იქნება, მაგრამ
 ერთგვარ სარგებლობა მანაც მოუტანს „ნინაქაზ“ პა-
 ტივცემულ მკითხველებს: წუთით მანაც შეასვენებს
 სიცოცხლისაგან გაბერილ ნეკნებს და ქარს ამოაღებინებს
 სხვა სამხიარულ ამბების მოსასმენად.

* * *

წინარების ძველ სამარხებს რომ მივუახლოვდი,
 მოულოდნელი გაცემისაგან შევკრთი.
 ეს სამარხები ადრეც მენახა და მოველოდი, რომ
 ეს ადგილი ჩვენი არქეოლოგიისათვის საინტერესო
 კვლევის ობიექტად გადაიქცეოდა.
 შო-და, აი, ეს ოცნება განხორციელებულა. სამარ-
 ხები გათხრილია. გზის პირას ყრია საარხთა უზრმა-
 ზარი ფილაქნები, ჩონჩხები, თავისქალები...
 გაცხარებული მუშაობა სწარმოებს.
 გავეშურე...
 პატარა ამბავი არ არის, ალბათ არქეოლოგიური
 ექსპედიცია სწევია ამ შორეულ სოფელს!
 მაგრამ თვალმა თუ მიმტყუნა... აქ უკვე მეორედ
 განვიცადე განცვიფრება.
 ნანგრევთა შორის, მალეობზე იდგა ამავე სოფლის
 კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბერიაშვილი და დღინჯ-
 შემოყრილი იძლეოდა განკარგულებებს.
 ეს არქეოლოგიური გათხრა არა უფილან! სამარ-
 ხთა შორის შენთისათვის ახალი საძიკველი გაუთ-
 ხრიათ: კოლმეურნეობისათვის კატორა აშენებენ.
 მე გავბედე ჩემი სინანულის გამოთქმა და გავას-
 სენე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თუ რა დიდი
 სიფრთხილის გამოჩენა საქირა ასეთ საქმეებში.
 ჩემი აღშფოთება ბერიაშვილმა სრულებით არ გა-
 იზიარა: ის ხომ აქ არის, დღედაღამ თავს ადგია მუშებს!
 ჯერჯერობით არაფერი უპოვნით და თუნდაც ეპოვ-


ნათ არაფერა დაიკარგებოდა. ნაწილი სამარხებისა გა-
 დარჩა და მცენიერებს შეუძლიათ აწარმოონ თავისი
 დაკვირვებანი. ესეც არ იყოს, მას ნებარევა ჰქონდა
 შენობის აშენებისათვის და არქეოლოგობა ხომ მისი
 საქმე არ არის, ის სხვის საქმეა უხეშად არ ჩაერევა!
 მაგრამ ბერიაშვილმა ცოტა რამ მანაც იცის ის-
 ტორიიდან:
 — აქ, სტეფანეს თუ სტეფანოზის სახელობის ეკ-
 ლესია მდგარა... ძალიან ძველი ადგილი უნდა იყოს.
 სამარხები რამდენიმე ფენად არის ჩაწყობილი მიწაში.
 როგორც კარგად შეკრული ქვის სკივრები... კანტარის
 კედელი ეკლესიის საძირკველს დავამყნეთ, ისე რომ...
 ფილაქნების დათვალიერება დავიწყე. უზარმაზა-
 რი ფილაქნებია: არი თუ არა, მეტრნახევარი სიგრძე
 მანაც ექნება თვითოფულს.
 — წარწერები ხომ არ შეგინიშნავთ?
 — ალბათ მაშინ წერა არ იცოდნენ, წარწერები
 ვერ აღმოვაჩინეთ, ისე რომ ამ ფილაქნებს უკვს და ამ-
 ტრევთ, მასალად ვაქცევთ, ზოგსაც ბოგირებად გავ-
 დებთ კეთურაზე... არაფერს დავკარგვთ, უვალაფერს
 გამოვიყენებთ... საკვირველია, სამარხები ჩონჩხების
 მეტი არაფერი შეგვხვდარია, ერთ დიდ სამარხში თორ-
 მეტი მიცვალბუღების თავი ვიპოვნეთ. ეს, ჩემის აზრით
 ომიანობის ან კირიანობის დროის სამარხები უნდა
 იყოს, პაპაჩემს კარგად ახსოვს, ძველად თურმე ასე
 იცოდნენ. მიწის სიფრთხილად იყო ჩვენში რევოლუცი-
 ამდე და იქნებ ამით იყოს გამოწვეული ასეთი დამარ-
 ხვის წესი...
 ან, თორბედა თავის ისტორიულ-არქეოლოგიურ
 პროფანოზებს ბერიაშვილი.
 — აი, შეხედეთ ამ თავისქალებს. წინად ადამიანს
 დიდი თავი ჰქონია!
 გზისპირას გადმოყრილი თავისქალები გა-
 ცხარებულნი შესცქეროდნენ ბერიაშვილს და თითქმის სამღურა-
 ვით ეუბნებოდნენ:
 — რა გვერჩოდი შე კაი კაცო, რად მოგვექცი
 ასე უდიერად. იქნებ ჩვენც კაცნი ვიყავით, იქნებ
 მცხეთულ პიტიაშებზე მეტი რამ ვიცოდით... რად
 დავაპუნჯე, იქნებ ჩვენც გვეთქვა რამე ისტორიისა-
 თვის?!

მინაწერი: ამბობენ, ბერიაშვილს ამ გათხრების შემ-
 დგე სინდისმა ქეხვა დაუწყო და სასწრა-
 ფოდ, თაუთმეტ თუხნად შეიძინა ერთი
 ძველი აწარვემა, რომ შეურაცყოფილი
 ჩონჩხების შესანდობარის ხშირი სძით მთ-
 ნინაქაზის თავისი ცოდვები ისტორიისა და
 არქეოლოგიის წინაშეა.

გოგინება

ნანს დონისა

რა მისი ბკალია?!



— ეს როგორ არის, რომ შენი საქმრო ხან დაბალი მეჩვენება, ხან მაღალი, ხან ქერა,
 ხან შავგვრემანი?
 — რა ჩემი ბრალია, საწყობის გამგეებს მაღმალე სცვლიანი?

ლიახ, ყველას, დიდსა და პატარას, ვისაც
 ოდესმე თავი შეუწუხებია და თბილვაჭრობის
 მალაზიების საჩივრის წიგნებში სახიფათო ჩო-
 უწერია.

იცოდეთ თბილვაჭრობის დირექციიდან
 თქვენ სულერთია ვერავითარ პასუხს ვერ მი-
 ილებთ, ამიტომ ნიანგმა საკუთარი სურვილით
 იკისრა უპასუხოს მოქალაქეთა საჩივრებს.
 ყურადღება, ლაპარაკობს ნიანგი! ნოგი-
 ლოცავთ... მოქალაქე იოსელიანო, მცხოვრებო
 პასტერის ქუჩაზე № 5-ში!

1942 წლის 27 ივნისს თქვენ შესულხართ
 (აბა გაისენეთ!) თბილვაჭრობის მალაზია
 № 2-ში. ხელში გეჭირათ ჩველი ბავშვი. წყლის
 გამყიდველს უწოდებია თქვენთვის ქაჯი და
 საჯაროდ გაულანძობხართ. ბოლმისაგან გამ-
 წარებულს ყოველივე ეს ჩავიწერათ საჩივრის
 წიგნში. პასუხი არ მიგილიათ.

ყური გავადეთ: თქვენს საჩივარზე გამგე
 კაპარავს მიერ მიწერილია „გამყიდველის
 საქციელი ჩაითვალოს წესიერად“. ძალიან
 იოლად გადარჩენილხართ. კიდევ კარგი რომ
 გამგე არ გეწერებოდათ, როცა საჩივარს
 სწვრდით, თორემ თავს გაგიტეხდათ, ხოლო
 თბილვაჭრობის სათანადო ინსპექტორი ამასაც
 წესიერად ჩასთვლიდა!

ჩამოვალოს გაუგებრულად

ყურადღება! მოქალაქე ესიტოვე, მცხოვრებო
 ჟორესის ქუჩაზე № 32-ში. იმავე წლის 15 ივ-
 ლისს თქვენ გიყიდიათ კუთვნილი რძე აღნიშ-
 ნულ მალაზიაში (გახსოვთ?). რძე აკრილა. სა-
 ჩივარზე, რაღა თქმა უნდა, პასუხი არ მიგი-
 ლიათ.

გიპასუხებთ: ჩაითვალოს გაუქმებულად
 აკრილი რძეც და მალაზიის გამგეც.

იღბალი გომონათ...

ყურადღება! მოქ. პაპიაშვილო, (მისამართი
 ვერ გავარჩიეთ) იმავე მალაზიაში 9 მაისს გი-
 ყიდნიათ ჯონჯოლი, აღმოჩენილია არა ჯონ-
 ჯოლი, არამედ აკაციის თუ ჭადრის ფოთ-
 ლები.

გიპასუხებთ: ეს თქვენი იღბალია, რომ
 აკაციის და ჭადრის ფოთლები გიყიდნიათ
 (რაც უნდა იყოს კეთილშობილი მცენარეებია).
 ხომ შეეძლოთ მოეყიდათ დამკვეთული ანწლის
 ფოთლები! მე თქვენ გეტყვით გამგე პასუხს
 აგებდ!

როგორ გეკადრებათ!

ყურადღება! მოქალაქე სიმონიშვილო, ა. წ.
 16 ივლისს შესულხართ თბილვაჭრობის № 127
 მალაზიაში, გიყიდნიათ საპონი. 400 გრამზე
 დაუკლიათ 100 გრამი. თქვენი საჩივარი პა-
 ტივცემულ ეგიკოვს (იცნობდეთ აღნიშნულ
 მალაზიის გამგე გახლავთ!) სასაცილოდ არ
 ჰყოფნის და ჩვენც გვეცინება: თქვე დალო-
 ცვილო, აბა ოთხას გრამზე ორას გრამს ხომ
 ვერ დაგაკლებდნენ! ასეც რომ არ იყოს — 100
 გრამს თქვენ დაგაკლებენ, 100 გრამს სხვას,
 ასს კიდევ სხვას და ერთს მშვენიერ ორსარ-
 თულიან სახლს წამოსჭიმავენ ვაკეზე. ამოდენა
 ქალაქში ერთი ორსართულიანი სახლი არ
 უნდა ჰქონდეს მალაზიის ნოქარს? როგორ
 გეკადრებათ!

უჩინებარნი

საქმის კასის კომანი

პირველი მაკველის ფორმის უფროსმა რწმუნებულმა პიტჩერმა ნება მისცა თავის არაფორსგამომხატველ, გამოყენებულ სანეს, წამით გაოცებისა და ერთგვარი დანტრარესების იერი მიეღო. საუბრისას, რომ მისი პატრონი, ბირჟის უფროსი დილის სულათისნებეარზე ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა კანტორაში შემანქანე ქალთან ერთად.

— გამარჯობათ, პიტჩერ, — ჩაიდუღუნა მაკველმა და თითქოს გადაბტომას ლამობსო, ელვის სისწრაფით გაქანდა თავის საწერ მაგიდისაკენ, მაგრამ კი არ გადაბტო, არამედ ჩაეფლო მთელ გროვად წერილებსა და ტელეგრაფებში, რომლებიც მას მაგიდაზე ელვადებოდა.

ახალგაზრდა ქალი უკვე ერთი წელია, რაც მემანქანედ მუშაობდა მაკველთან. მას სძულდა თმის „პომპადურის“ მოდი დაფეხვა, არც ძეწვეს ატარებდა, არც სამაჯურსა და მდვადლიონს და არც ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომელიც მამაკაცს უსიტყვოდ აგარძობინებს ხოლმე რესტორანში და მამაკაცეთა. ეცვა ნაცრისფერი, უბრალო კაბა, რომელიც მომზიბლავ სიკონტრავს აძლევდა მის ტანს, მის კოპწია შავ რიდეჩამოხვებულ კუდს ოქროსფერად იფარავს მადალი მწვანე ფრთა ჰქონდა გაცრილი, ამ დილით იგი რაღაც განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავდა. თვალები უტიმციმებდნენ, დაწვები ატმბივით უყავოდნენ, ერთი სიტყვით, ბედნიერი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც მეტისმეტად სასიამოვნო რამ აგონდებოდა.

პიტჩერმა ისიც შენიშნა, რომ ქალი დღეს ისე არ იქცეოდა, როგორც სხვა დროს: იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ შესულიყო მეზობელ ოთახში. სადაც მისი მაგიდა იდგა, იგი გაუბედავი ნაბიჯით ზოხინებდა კანტორაში. ერთჯერ მაკველის მაგიდასთანაც კი მივიდა ისე ახლოს, რომ მას შეენიშნა. მაგრამ მაგიდასთან აღმდანი აღარ იჯდა; იგი უკვე მანქანად გადაქციულიყო. ეს იყო საქმეებში ჩაფლული ნიუ-იორკელი ბირჟის მაკლერი, რომელსაც იგიველი მოხუხუნე ათასი ბოლბალი და ზამბარა ამოძრავებდა.

— რა ამბავია? რა მოხდა? — ცოტა არ იყოს უხეშად იკითხა მაკველმა და გახსნილ პაკეტიდან მაგიდაზე ქალაღების თეთრი ფიჭები დაათვა. თან კი თავისი მწვანე, უმოძრა და ცივი თვლები მოუთმენლად მიაშტერა ახალგაზრდა ქალს.

— არაფერია, — უპასუხა მემანქანემ და დიმილით გაშორდა.
— მისტერ პიტჩერ, — მიმართა მან კანტორის უფროს რწმუნებულს, — ნუთუ მისტერ მაკველს არაფერი უთქვამს თქვენთვის ახალი მემანქანე ქალის მოყვანის შესახებ?

— მითხრა, — უპასუხა პიტჩერმა, — გუშინ მითხრა, რომ ახალი მემანქანე გამოიქვამდა. მეც მაშინვე ბიუროს შევატყობინე, რომ საცდელად რამდენიმე მემანქანე ქალი გამოგზავნათ. ახლა უკვე ათს თხუთმეტი წუთი აკლია და მიკვირს რათ არ სჩანან.

— რაბან ვგრა, ვიდრე შემცველი მოვიდოდეს, ისევე მე ვიმუშავებ. მან თავისი შავი რიდეჩამოხვებული კუდი ჩამოჰკიდა და მაგიდას მიუჯდა. ვისაც ნიუ-იორკელი ბირჟის მაკლერი არ უნახავს გახურებული მუშაობის დროს, იგი ვერ იტყვის ანტროპოლოგია ზეისწავლეო. პოეტი ლაპარაკობს „დიადი ცხოვრების ყოველ საქმიან საათზე“. ბირჟის მაკლერს კი მხოლოდ საათი როდი აქვს ასეთი გატყდელი საქმეებით, ყოველი წუთი და წამი ღვედებით უჭირავს და მიაქანებს.

ეს დღე კი განსაკუთრებით ცხარე იყო პირველი მაკველისათვის. სატელეგრაფო აპარატმა გაუთავებელი ღენების გამოშვება დაიწყო. ტელეფონის აპარატს კი, რომელიც მაკლერს იდგა, ყოველ წამში მოსდიოდა ბზუილიანი შეტყევა. ბირჟის ხალხი განუწყვეტილად მოედინებოდა და ყველა მაკველს ძინართავდა — ვინ მხიარულად, ვინ მძაფრად, ვინ აღერსით, ვინ გაბრაზებით, ვინ აღლევებით. კლერკერი ტელეგრაფებით დაჯირითობდნენ. კანტორის მთხელებიც ისე დაობდნენ კანტორაში, როგორც მეზღვარები ქარიშხლით განწიოულ გემის ბაქანზე. წარმოიდგინეთ, პიტჩერის სახესაც კი დაეტყო რაღაც გამოცოცხლების მსგავსი ბირჟაზე ამ დღეს გრიგალი მძვინვარებდა, თვლის ზვავები მუხარობდნენ. ვოლკანები გავარვარებულ ლავას ანთხევდნენ და სტიქიის ეს სიანცე მინიატურულად ირეკლებოდა მაკლერის კანტორაში.

მაკველმა კედლისკენ მისწია სკამი და გარჯიშს შეუდგა: შეველის სიმარდითა და მოქნილობით ღერ და ტელეფონიდან ტელეგრაფთან და მაგიდიდან კართან.

და ამ არადაძინაური დატვირთობის დროს მაკლერს უცებ წინ დაუდგა მადანე ზემოდაგარცხნილი ოქროს თმა, რომელსაც ძლივს ფარავდა სირაქლემის ფრთებგარედი ქუდი, ძვირფას ბეწველის სამოსი, ოპონის შუაგულში სადაც ქანაობდა კარგა მოხრდილი თხლისოდენა ბრილიანტებით დატვირთული ფარულა — ეს თითქოს ვერცხლის გულის როლს ასრულებდა. ამ აქსესუარებით გაზღდათ მორთული მაცლური ახალგაზრდა ქალი. იქვე იჯდა პიტჩერიც, რომელსაც უნდა განემარტა ამ ეოვლინების შინაარსი.

— სტენოგრაფისტა ბიუროდან განლავთ ადგილისათვის. — მოახსენა პიტჩერმა.

მაკველი ნახევრად მობრუნდა, ხელეში თითო ბლუჯა ქალაღი და ტელეგრაფის ღენი ეჭირა.

— რომელი ადგილისათვის?
— აი, მემანქანის ადგილისათვის. თქვენ აკი მითხარით გუშინ ახალი მემანქანე მომეყვანა.

— თქვენ გაგივებულხართ, პიტჩერ — დაიყვირა მაკველმა. — აბა როგორ გეტყვოდით ასეთ სისულელეს. მისს ლესლი შესანიშნავად აკეთებს თავის საქმეს უკვე ერთი წელიწადია. მანამ თითონ არ მოისურვებს წასვლას, ადგილიც მისია. ჩვენ არავითარი ადგილი არა გვაქვს, ქალბატონო. დაურევით ბიუროს, პიტჩერ, რომ აღარავინ გამოგზავნონ და თქვენც ნუ მიიღებთ სხვას.

— აღმოთვებულმა „ვერცხლის გულმა“ წყენით დასტოვა ძვირფასი ავეჯით მორთული კანტორის ოთახი.

პიტჩერმა როგორც იყო იხელთა დრო და ბზხალტერს წასჩერებულა, რომ „ბებერი“ დღითიდრე აბნეული და გულმაგიწვი ხდებოდა.

საქმეების დენამ თანდათან გახურებული სახე მიიღო და მუშაობის ტემპიც ერთი ასად აჩქარდა. ბირჟა ტორტმანებდა, ბარბაცებდა. შემოდოდა ათსჯვარი სახელწოდების აქციები, რომლებშიაც კარგა დიდი ფული ჰქონდათ დაბანდებულნი მაკველის კლერკეტებს. ბრძანებები გასაღებისა და შესყიდვის შესახებ მერცხლებივით მიმოფრინავდნენ და მაკველი მუშაობდა, როგორც რაღაც საოცრად რთული აღნაგობის ძლიერი მანქანა, მუშაობდა მთელი გაქანებით, ისე, რომ ერთი წამითაც არ აფლია თავი. მიმოფრინავდნენ აქციები, სესხები, ფონდები.

* * *

ინგლისის მეფე ვილჰელმ III სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ სადაც როდის, ეს დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ერთმა გენერალმა თავი გამოიღო და ჰკითხა: საით აპირებდა მეფე. პასუხის ნაცვლად მეფემ ჰკითხა საიდუმლოს შენახვა იცოდა. „დიან, ვიცი“ — მიუთვო განარებულმა გენერალმა. „ძალიან კარგი — უპასუხა მეფემ, — მაშ გვეც იცოდე, რომ მეც ისევე კარგად შემიძლია საიდუმლოს შენახვა, როგორც თქვენო“.

* * *

შოტლანდიის დიდი აჯანყების დროს გრაფი ჩესტერფილდი ირლანდიაში იმყოფებოდა. ერთ დილას ხმა გავარდა კათოლიკები აპირებენ აჯანყებასო. გრაფს კვლავ ეძინა, რომ უცებ მსახური შევარდა და სულმოუთქმელად მოახსენა „ბატონო ჩემო, ბატონო ჩემო, დავიღუპეთ, მოეო ირლანდია დგებია“. „მერე და რომელი საათია?“ — იკითხა გრაფმა. „ათი გახლავთ, ჩემო ბატონო“, — მაშ, მეც ავდგები“ — თქვა მისმა აღმატებულებამ არაჩვეულებრივი სიმშვიდით, — ჩემის აზრით ყოველი შრომისმოყვარე კაცი უნდა ადგეს 10 საათზე“.

(ინგლისურიდან)

ამირი გოავია იბნ მერვანი მეწისქვილის კარზე შეჩერდა და დაინახა, რომ ვირს, რომელიც წისქვილის ქვას აბრუნებდა, კისერზე ეყვანი ჰქონდა შებმული.

— „რატომ შეგიბამს მაგ ვირისათვის ეყვანი კისერზე?“ — ჰკითხა მოავიამ მეწისქვილს.

მეწისქვილემ უპასუხა: „ვიინციობაა მომწინდეს ვირისათვის თვალყურის დევნება ან ჩამოვლიდომს, როდესაც ველარ გავგონებ ეყვანის ხმას, გავიგებ, რომ ვირი გაჩერებულა, ჩვეულებზე და ისე დაიწყებს სიარულსო“.

— „როგორ ფიქობ, არ შეიძლება გაჩერდეს ვირი, არბიოს ეყვანიანთ თავი და ქნას ასე და ასეო“ უთხრა ამირამ და დაუწყა მეწისქვილს ნჯღრევა თავისა მარჯვნივ და მარცხნივ.

მეწისქვილემ მიუთო: „საიდან მევოლება მე ისეთი ვირი, რომელსაც იმდენივე ტკუა აქვს, რამდენიც ამირსო“.

(სარაბულიდან)

სამიწათმოქმედო და სამრეწველო ქალაღები, მთელი სამყარო ფინანსური საქმეებისა, სადაც პაწაწინა ადგილიც კი არ იყო აღმდინისათვის.

საუბრის დრო რომ მოახლოვდა, ცოტათი ამოისუნთქეს. მაკველი თავის მაგიდასთან იდგა ხელში მემორანდუმებითა და ტელეგრაფებით; მარჯვენა ყურში ავტომატური კალამი ჰქონდა გაჩრილი, გაოფლიანებული თმები შუბლზე უწყსრივად ჩამოშლოდა.

კანტორის ფანჯრები ღია იყო. მომზიბლავდა გაზაფხულმა დედამიწის ცენტრალური გათბობის რადიატორი ცოტათი „სითბოსაკენ“ გადასწია. ღია ფანჯრიდან შემოვიდა გამარბებელი სურნელები; ნახი, სამაო სურნელება იასამნისა და პან წამით შემოიკა მაკლერი. ეს სურნელება მისს ლესლის გვეთვინდა. ეს მისი, მხოლოდ და მხოლოდ მისს ლესლის სურნელება იყო.

ამ სურნელებამ მოუყვანა მას ის ქალი და წინ დაუსვა დასანახად, თითქმის ხელშესახებადაც. და უცებ გაჰქრა ფინანსთა-საწყარო. ეს ქალი კი ოც ნაბიჯზე იყო მეორე ოთახში.

— თავსა ვფიცავ მე ანას გავაკეთებ, — თითქმის წამოიყვირა მაკველმა. — მე ვთხოვ მას. საოცარია, რატომ აქამდე არ მოვაგვარე ეს საქმე. — იგი ბირჟის მხელის სისწრაფით შევარდა მემანქანე ქალის ოთახში. ქალმა შენედა უფროსს და გაიღიმა. დაწვებზე ვარდისფერმა სიწითლემ გადაუბრინა და თვალებიც აღერსით აუციმიციმდა. მაკველი მის სკამს დაეყრდნო იდაყვით. მას კვლავ ეჭირა ხელში ქალაღების გროვა და ავტომატური კალამი მარჯვენა ყურში ჰქონდა გაჩრილი.

— მისს ლესლი, — წიადუღუნა მან. — მე სწორედ ერთი წუთით ვინელთე დრო. მინდა მოვასწრო და რაღაც გითხრათ. გსურთ თუ არა ცოლად გამომეყვით? მე ხომ დრო არასოდეს მქონია არშიყობა დამეწყო თქვენთვის, როგორც ეს საერთოდ და მიღებული, მაგრამ გჯეროდეთ მთელი არსებით მიყვარხართ. ჩქარა მიბასუნეთ გეთაყვათ, თორემ ტელეგრაფი არ ისვენებს წყნარი ოკენედია“.

— რას ამბობთ? — წამოიძახა ქალმა. — იგი წამოადგა და ფართო თვლებით მიაშტერდა.

— არ გესმით? — წყენით სთქვა მაკველმა. — მე მინდა რომ ცოლად გამომეყვით. მე თქვენ მიყვარხართ მისს ლესლი. მე ეს მინდოდა მეტკვა და ეხლა ძლივს გრხელთე დრო. აჰ, ტელეფონთან მეძახიან. პიტჩერ, უთხარით, რომ ცოტა მადროვონ. ნუთუ არა ხართ თანახმა, მისს ლესლი?

მემანქანე ქალი რაღაც უცნაურად მოიკცა: ჯერ თითქოს გაკვირვებამ მოიკვა, მერე გაშტერებული თვლებიდან ცრემლები წასკდა. მერე კისარტყელსავით გაიღიმა ცრემლიანი თვლებით და ხელი ნახად გადაუსვა მაკველს თავზე.

— ეხლა კი მესმის, — რბილად სთქვა მან. — ამ ბირჟამ თქვენი თავიდან ყველაფერი სხვა გარეჯა. პირველად კი მეცმინდი, ნუთუ დაგავიწყდათ, პირველი ჩვენ ხომ წუხელ რვა საათზე დავიწყრეთ ჯვარი

ქუჩის ქუჩი ბნელი ღამით ისარგებლეს და გაასუფთავეს ავტონისპექტორის მა-
ლაქიას ბინა. ნადავლი დააწყეს დაქირა-
ვებულ ავტომანქანაზე და გაუყენეს გზას.
სანაპირო ქუჩაზე იმ ღამეს მორიგეობდა
სწორედ ავტონისპექტორი მალაქია.

— შესდექით, მაჩვენეთ თქვენი სარეი-
სო ნებართვა!— შესძახა მან შოფერს. მან-
ქანიდან თავი გადმოჰყო ერთერთმა ქუ-
ჩრდმა და ნებართვის მაგივრად მალაქიას
2 ათასი მანეთი ჩაუდო ხელში. ავტონის-
პექტორმა ხელი ასწია და ავტომანქანა
დაუბრკოლებლად გაატარა.

გახარებულმა მალაქიამ ფული ჯიბეში
ჩაიწყო და სახლისკენ გაემშურა.

შემტკრეული კარი რომ შეაღო, გულს
შემოეყარა: ქუჩის ქუჩის ოცი ათასი მანეთის
ნივთები წაეღოთ.

იქრა თავში ხელი მალაქიამ, მაგრამ
გვიანლა იყო.

გიგო მარჯონიძე

პურის რიგში დგომისას ასეთი სახის მარ-
ტივი ამოცანა შევადგინე: როდესაც სასწორ-
ზე 500 გრამი პური იწონება, მაშინ გამყიდ-
ველის საჩვენებელი თითის მიერ მიყენებული
ძალა „f“ უდრის 50 გრამს, ხოლო როდესაც
იმევე სასწორზე 1.500 გრამი პური იწონება,
მაშინ გამყიდველის მიერ მიყენებული ძალა
„f“ უდრის 100 გრამს. ორთავე შემთხვევაში
მიყენებული ძალა იწვევს თანაბარ აჩქარებულ
ძრაობას და სასწორის ისრის საწინააღმდეგო
გადახრას გამყიდველისაკენ.

გაიგეთ: 1. რა ძალის მიყენება შეეძლება
პურის გამყიდველს სასწორისათვის ერთი
წლის განმავლობაში.

2. რა შედეგს მიიღებს წლის ბოლოს პურის
გამყიდველი საჩვენებელი თითით ძალის მიყე-
ნების წყალობით.

ახსნა: 1. ერთი წლის განმავლობაში პურის
გამყიდველს შეუძლია მიაყენოს სასწორს სა-
ჩვენებელი თითით 3 ათასამდე კილოგრამი
ძალა.

2. 1 წლის ბოლოს პურის გამყიდველი სა-
ჩვენებელი თითით მიყენებული ძალით მიიღებს
ან ერთ კოპშია ოდეს ვაკეში, ან საჩვენებელი
პროცესის ძალით 10 წლით დასვენებას ორთა-
ქალის... (ბალშიო, ინატრებს გამყიდველი)—
არა გეთაყვა—ციხეში!

50580

ქუჩის ქუჩა და ოსტატის გვირგვინი

ქუჩის ქუჩამ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესებუ-
ლებიდან პრემიათ მიიღო კრებდემინის საკაბე.

— სწორედ ისეთი ფერისაა, როგორც მე მიყვარს!— ეუბნებო-
და გახარებული ქუჩის ქუჩა თავისივე დაწესებულების თანამშრომელს,
მეგობარ ქალიშვილს მედეას.

— სწორედ მშვენიერია! ნეტავი ჩემთვისაც მოეცათ, მეც სწო-
რედ ასეთი ფერის მიყვარს.

— განა შენ არ მოგცემდნენ, ჩემო მედეა, მაგრამ შენი ბრალია,
ზარმაცობდი, თორემ ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე ხომ იცი,
შენთვის თავს გამოიღებდა!— ეშმაკური ღიმილით უთხრა მეგობარს
ქუჩის ქუჩამ.

— რა ვიცოდი, შე ქალო, ამისთანა ჯილდოს თუ დაარბებ-
დნენ, თორემ შენ კი ვერ მაჯობებდი!

— ვის გინდა შეაკერინო ახლა ეს შენი კაბა, ქუჩის ქუჩა, კერძო
მკერავს გინდა შეაკერინო, თუ არტელში?

— რა თქმა უნდა, არტელში მივიტან, მე გგონია იქ უფრო
იზადაც შემიკრავენ და უკეთესადაც.

— უკეთესად და უფრო ჩქარა თუ გინდა კერძოდ უნდა შე-
აკერინო.

— რატომ ამბობ, მედეა, ამას; არტელ „ოსტატის გვირგვინში“
საუკეთესო მკერავები მუშაობენ.

— „ოსტატის გვირგვინში“ გინდა შეაკერინო? იქ მართლა კაი
მკერავები მუშაობენ, მაგრამ „სხვადასხვანაირად“
კერავენ.— ორკოფულად სთქვა მედეამ.

— მე უბრალოდ მინდა შევიკერო! და არც
ძალიან მეჩქარება, ეხლა მარტია და პირველ მაი-
სისათვის ხომ შემიკრავენ.

— შენზეა დამოკიდებული!— კიდევ ორკოფუ-
ლად უპასუხა მედეამ.

— ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, მე არ
შეგაბრკოლებ: ხვალვე ჩავაბარებ მარტიას და რო-
ცა მეტყვიან, მივალ მისაზომებლად.— უპასუხა ქუ-
ჩის ქუჩამ, რომელმაც ვერც ეხლა გაიგო მედეას ორ-
კოფული თქმა „შენზეა დამოკიდებული“.

ორი კვირის შემდეგ მედეა შეეკითხა ქუჩის ქუჩას:

— რა ჰქენი, შეგიკერეს კაბა?
— არა, დღეს ვიყავი დაბარებული, მაგრამ გადამიდევს, ეხლა
ზეგისთვის შემპირდნენ მოგაზომებთო.— უპასუხა ქუჩის ქუჩამ, რომელ-
საც ხმაზე ეტყობოდა, რომ ცოტა უკმაყოფილო იყო.

ამის შემდეგ მედეა, თითქმის ყოველდღე ეკითხებოდა ქუჩის ქუჩას
თუ მოგაზომეს კაბაო, მაგრამ ქუჩის ქუჩა ერთსადაც ვაპასუხებდა:
კიდევ გადამიდევს ვადაო.

პირველ მაისს, საზღვიო კრებაზე, მედეამ უკვე აშკარა დაცინვით
ჰკითხა ქუჩის ქუჩას:

— რა ჰქენი, რატომ არ ჩაიციე დღეს შენი ახალი კაბა?
— ჩავიცვი კი არა, ჯერ კიდევ არ მოუზომებიათ!— გულუბრ-
ყვილად უპასუხა ქუჩის ქუჩამ.— მაგრამ გუშინ დირექტორთან ვიყავი
და ერთი ამბავი დაუწია ოსტატს.— რატომ აქამდე არ შეუკერე იმ
და პარტიოსანი სიტყვა მოპცეს ერთ კვირაში შეგიკრავითო.

ხუთ ივნისს ქუჩის ქუჩა „გახარებული მივიდა“ დაწესებულებაში და
მედეას თვით უამბო, რომ გუშინ მომაზომეს კაბაო.

— აკი შეგიდ მაისამდე უნდა მიეზომებიათ?— ისევ დაცინვით
შეეკითხა მედეა.

— მართალია ბევრი მაწვალეს, მაგრამ აღარ ვჩივი, კაბა ტანზე
კარგად მდგია, მთლად გამზადებულია, მხოლოდ საყელოს მიკე-
რება აკლია და ზეგისთვის დამიბარეს სულ მზად იქნებოა.

გავიდა ივნისი, ივლისი, აგვისტოც— ქუჩის ქუჩა სისტემატიურად
დადიოდა არტელ „ოსტატის გვირგვინში“, მაგრამ არ იქნა და არა,
მის კაბას საყელო არავინ მიაკერა.

პირველ სექტემბერს მედეა კვლავ შეეკითხა ქუჩის ქუჩას:

— როგორაა, ქუჩის ქუჩა, საყელო აღარ მოგიკერეს?
— რაში გეკითხება ჩემი კაბა, თუ ქალი ხარ, თავი დამანებე!—
წყენით უპასუხა ქუჩის ქუჩამ, რომელიც უკვე ხვდებოდა, რომ მედეა
დასცინოდა მას.

— რა გეწყინა შე ქალო, ხომ არ გგონია, შენი კაბა მეხარება,
ხომ იცი, რომ ეხლა მეც მივიღე ჯილდო კრებდემინის საკაბე, მეც
„ოსტატის გვირგვინში“ მივიცი შესაკერად და იმიტომ მაინტერე-
სებს. მინდოდა მენახა როგორი შეგიკერეს.

— „ოსტატის გვირგვინში“ მივიცი მართლა? კი მაგრამ, ვერ
ხედავდი მე როგორ მაწვალდებენ აგერ ექვსი თვეა?

— მე, ჩემო დაო, შემპირდნენ ერთ კვირაში შეგიკრავითო და
ვერც გამოიბედავენ მოტყუილებას!— მედიდურად გა-
ნაცხადა მედეამ.

მართლაც ერთი კვირის შემდეგ თეატრში
პრემიერაზე უკვე ეცვა მედეას „ოსტატის გვირგვინ-
ში“ შეკერილი ახალი კაბა. ქუჩის ქუჩა იქ იყო ისევ
ძველი კაბით, რადგან მისი კაბის საყელო ჯერ
კიდევ არ იყო მოკერებული.

— მე ექვსი თვეა მაწვალდებენ და შენ ერთ
კვირაში რომ შეგიკერეს, როგორ მოახერხე, ნათე-
სავი გყავს ვინმე არტელში თუ? მეც მასწავლე, შე
ქალო!— შეხევეყა ქუჩის ქუჩა მედეას.

— ნათესავი კი არა, მე და იმ არტელის ხალხს საერთო ნაც-
ნობი გეყავს და იმან გამოიკეთა საქმე.

— მოდი მეც გამოცანი ის თქვენი საერთო ნაცნობი, იქნება
დამადგე!— საშველი!

— ძალიან გულით გინდა?
— მაშ არა!

მედეამ გახსნა რედიკული, ამოიღო ასმანეთიანი, ხელში ააშრია-
ლა და უთხრა ქუჩის ქუჩას:

— აი ჩემი და იმითი საერთო ნაცნობი! ამისთანა ნაცნობს თუ
დაიხმარ, ხვალვე გაგიზადებენ შენს კაბას და თუ არა ის საყელო
შეიძლება მთლადაც დაიკარგოს!

მეორე დღეს, როცა ქუჩის ქუჩა „ოსტატის გვირგვინში“ მივიდა
თავის „ახალი ნაცნობებით“, რას არაჩვეულებრივ თავაზიანად მოგ-
ყრნენ, ხელაავე მოუხახეს კაბის საყელო და ნახევარ საათში გამზა-
დებული კაბა ხელში ჩააბარეს.



სასტუმრო „უღელტეხილში“
ძნელია ღამის გათევა.
თვით გამოცადე მე, როცა
მივედი ნაუცბათევაღ.

ვიცოდი, აღრე მისული,
იქ მეგობარი მელოდა.
კიბესთან შევდექე, შევშინდი—
ჯოჯოხეთივით ბნელოდა.

საფეხურებზე ბრმასავით
შეგყევი, გავცდი მეხუთეს
და მოსახვევში ვილატას
გულმკერდზე გადავებუტე.

— „რათ იგვიანებ ამდენხანს?
გელოდი სულისკვეთებით“,
ქალის ხმა ვიკან, სირცხვილმა
ღამასხა ოფლის წვეთები.

მივბრუნდი, ვუთხარ — მე სხვა ვარ.
ჩემს გვიან მოსვლას ნუ სწუხარო.
— „სხვა თუ ხარ, რას მეტაკეპი?“ —
თავისთვის წაილულლულა.

კარებს მივადექ, თან ვფიქრობ:
შევალ და დაბეძინება,
გარედ ქარი ქრის, აქ თბილი,
ოფლიც კი დამეძინება.

მივედი (ვაი იმ შესვლას)
ვით გარედ, ისე ქრის ქარი.
მუხლამდე მტვერში ვეფლობი,
თან დასაწოლად ვიჩქარი...

დილით ავდექი უძილო,
პირის დაბანას ვაპირებ,
ინსტიქტიურად დავხედე
საწოლს, ლეიბის საპირეს,

ისე სქლად აკრავს ზემოდან
ქონი, ქუჭყი და ტალახი,
ზედ რომ იონჯა დათესო
აბიბინდება ბალახი.

რა მექნა? — რალას ვიზამდი,
გარედ გამოველ გამწყრალი,
პირს დავიბანდი, არ იყო
არც პირსახოცი, არც წყალი.

პ. ზუმბაძე

(თმთრი — შუაკოს რაიონი)



თოლია: — ვითომ არ გადმოგვიგდებს ცხვრის
კანჭის ნაჭერს?

მშკია: — არ გადმოგვიგდებს და მისი საკუთა-
რი კანჭი ხომ აქ არის.

რაინაიგრაღივაჟი

კიბაღიჩის ქუჩა მთლოტოვისა და
26 კომუნარის საბ. რაიონს მიჯნავს.
ამ ქუჩას არც ერთი რაისაბჭო ყურადღე-
ბას არ აქცევს.



— რას ერჩნ ღრუტუნიას, რა დააშავა?
— ნეიტრალური შონა დაარღვია, იქითა
რაიონში გადიღა.

1. დედაბერმა „საქსილბოტის“ მანქანაში
დახიაში მწვანელი მოინდომა.
2. უცოდინარის ფრიალი —
საჭაპური და ხმიალი!
3. რად დასქელდა არტემიო?
მუცელში აქვს არტელიო.
4. ზოგ ქურდის ქურდს-ინსპექტორი
ჭკეიანო.
5. თუ გული გულობს, მილიციელი
სწვეგულახტს ორ ნაბიჯსეც შეამ-
ჩნევსო.
6. ექიმის მოლოდინში ავადყოფმა
გრიზი იხადნო.
7. ავუსგუსდი ბუხარო,
„თელასივით“ ნუ ხარო.

ახალი გამოსანები

1. ტუუ... ტუუ... ორბი ვარო,
სამი დღეა მოვრბივარო. (სას-
წრაფო დასმარება).
2. კრიჭი... კრიჭი... ჰაიკაო,
ჯიბეს ხედაი გაიკაო.
„სამთუშინანს“ უულებს აქვს,
ნუ შებედავს სხვა იქაო.

(სადბლაქო)

შეკრიბა 8028

„ახალი-საგანსპორტო-მიღწევა“

(სამხრეთაღმ-ბაზარსა და მუხრანის ხილს შორის)

ნახ. დონია



ნახ. ღონისა



უმანკოს ქურქში ძვრებიან, მოსთქვამენ ვაი ვიშითა, ანგელოსის ფრთებს იხხამენ სიკვდილით დასჯის შიშ არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხონ ქვიშითა.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უკა ჯაფარიძე, ს. შაშაღლიძე, გ. აბაშიძე (პ/მ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 5-10-49
ბელმოწერილია დასაბეჭდათ 1944 წ. 19/XII. აზ. დ. პ. ზერიაის სახ. კოლფრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენ. ქ. № 28. გამოც. № 2. შვებ. № 767, უძ. 07566